29

ცირკულიარული
საქართველოს სარეწაო
კავშირი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ინსტრუქცია

## ბრუნვიდან გადასახადის და კავშირის საკომისიოს გამოანგარიშებისა და კალკულიაციაში მათი შეტანის შესახებ.

დღემდე არსებული სარეწაო გადასახადი და სხვა სახის გადასახადები შეცვლილ იქმნა და დაწესდა ერთი მთლიანი გადასახადი—**ბრუნვიდან.** როგორც გადასახადი ბრუნვიდან, აგრეთვე კავშირის საკომისიო აქამდე ითვლებოდა სავაჭრო ხარჯებათ, რის გამოც ნაკეთობათა საანგარიშგებო (отчетная) კალკულიაციაში არ შედიოდა. რაც შეეხება სავარაუდო, ანუ წინასწარ კალკულიაციას, რომლის მთავარი მიზანია გასასყიდი ფასის დაწესება, ზოგს არტელს შეჰქონდა აღნიშნული ხარჯები, ზოგს კი არა. ამიერიდან ყველა ხარჯები და მათ შორის გადასახადი ბრუნვიდან და კავშირის საკომისიო უნდა ჩაითვალოს საერთო **საწარმოო ხარჯებათ,** ე. ი. შეტანილ უნდა იქმნენ როგორც წინასწარ, სავარაუდო კალკულიაციაში, აგრეთვე საანგარიშგებო კალკულიაციაშიც.

ვინაიდან აქამდე არსებული საპრეისკურანტო და სახვაჭრობის კომისარიატის მიერ დაწესებული ფასების შეცვლა, აღნიშნულ კომისარიატთან შეუთანხმებლად დაუშვებელია, სარეწაო არტელებმა და სარეწაო საკრედიტო ამხანაგობებმა მათი პროდუქციის მსყიდველ ორგანიზაციებისადმი წარდგენილ ანგარიშებში ნაწარმოების ღირებულება უნდა იანგარიშონ აქამდე არსებული ფასით, ხოლო ანგარიშის ჯამს მიუწერონ შესაფერისი დამატება ქვემოდ ნაჩვენები წესით გამოანგარიშებული.

უკეთუ ღღემდე არსებული გასასყიდი ფასი შეიცავდა გადასახადს, გადასახადის ახალი განაკვეთისა და ძველი განაკვეთის განსხვავება, რომელიც უნდა დამატოს ძველი ფასებით გამოანგარიშებულ ჯამს შემდეგი წესით უნდა გამოვიანგარიშოთ:

**მაგალითი პირველი.** ავიღოთ მაგალითად დამზადებული ფეხსაცმელი.

ამ საქონლის ღირებულებიდან დღემდე ვიხდიდით 3,01%-ს, ე. ი. 100 მანეთის საქონელში არტელი ღებულობდა 100 — 3,01 = 96 მ. 99 კ. გადასახადის ახალი განაკვეთია 21,7%, საიდანაც სარეწაო კოოპერაციას ეძლევა დათმობა 15%, რაც უდრის $\frac{15 \times 21,7}{100} = 3,255$ ანუ 3,26%. აქედან გადასახადი შეადგენს 21,7% — 3,26 = 18,44%, მაშასადამე 100 მანეთის საქონელში დაგვრჩება 100—18 მ. 44 კ. = 81 მ. 56 კაპ.

რა პროცენტი უნდა დავარიცხოთ 100 მანეთის საქონელს, რომ ისევ 96 მ. 99 კაპ. გვრჩებოდეს?

იმდენჯერ მეტი, ვიდრე 18,44%-ია, რამდენჯერაც 96,99 მეტია 81,56-ზე ე. ი. შემდეგი ფორმულით: $\frac{96,99 \times 18,44}{81,56} = 21,93\%$; ვინაიდან ძველ ფასში უკვე შეტანილია გადასახადის ძველი განაკვეთი, ე. ი. 3,01%, ამისათვის უკანასკნელი უნდა გამოირიცხოს მიღებულ 21.93%-დან, გვრჩება 18,92%. 100 მანეთის საქონელს დაერიცხება 18 მ. 92 კ., როგორც გადასახადის განსხვავება და ამ გვარად საქონლის საბოლოო ღირებულება იქნება 118 მ. 92 კ.

ამ ჯამიდან გადაგვხდება გადასახადი 18,44%, რაც უდრის 21 მ. 93 კაპ.; 118 მ. 92 გამოვაკლოთ 21 მ. 93 = 96 მ. 99 კაპ., ე. ი. არტელს დარჩება იგივე ჯამი, რასაც დღემდე ღებულობდა.

**მაგალითი მეორე.** ვსთქვათ, დღემდე არსებულ გასაყიდ ფასში გადასახადი არ შედიოდა. ამ შემთხვევაში ვმსჯელობთ ასე: 100 მანეთია ჩვენი გასასყიდი ფასი, გადასახადი კი შეადგენს 18,44%, ე. ი. 100 მანეთის საქონელში გვრჩება 100 — 18,44 = 81,56; 100 მანეთზე უნდა დავარიცხოთ იმდენჯერ მეტი% ვიდრე გადასახადის განაკვეთია (18,44%), რამდენჯერაც 100 მეტია 81,56-ზე, ე. ი. $\frac{100 \times 18,44}{81,56} = 22,6\%$. ე. ი. 100 მანეთის საქონელზე მიუმატებთ გადასახადის დასაფარავად 22 მ. 60 კ. საბოლოო ჯამიდან 122 მ. 60 კ. გადაგვხდება 18,44%, რაც უდრის 22 მ. 60 კ. და არტელს დარჩება იგივე თანხა (100 მანეთი), რასაც აქამდე ღებულობდა თავის ნაწარმოებში.

აღნიშნულ ახალ გადასახადთან დაკავშირებით ბუნებრივად წარმომდგარ საკითხის—კალკულიაციის ხელახლად შედგენის შესახებ დადებითად გადაწყვეტის შემდეგ, კალკულიაციაში უნდა შევიტანოთ ბრუნვიდან გადასახადის შესახებ კავშირის მიერ მოცემულ დებულებაში აღნიშნული გადასახადთა განაკვეთები. ამასთანავე ვინაიდან სარეწაო კავშირი იღებს თავის საკომისიოს ნაკეთობათა რეალიზაციისათვის 2% არტელის ბრუნვიდან, ამისათვის ეს უკანასკნელი და გადასახადი კალკულიაციაში ერთგვარი წესით უნდა იქნეს შეტანილი.

23.449

P 11053
ეროვნული
ბიბლიოთეკა

როგორ შევიტანოთ კალკულიაციაში?

ვარკვევთ საწარმოო თვითღირებულებას.

ვსთქვათ იგი უდრის 100 მანეთს. ნორმალური წმინდა დაგროვება უნდა შეადგენდეს ვსთქვათ 10%-ს, მაშინ ჩვენი კომერციული თვითღირებულება ანუ გასაყიდი ღირებულება უგადასახადოთ და უკომისიოთ იქნება 110 მანეთი.

გვაქვს ფეხსაცმელის წარმოება. მისი ბრუნვა შელავათის მხედველობაში მიღებით, იბეგრება 18,44%-თ. რა %-ით უნდა შევიტანოთ გადასახადი (18,44%) და კომისია (2%) კალკულიაციაში, რომ ჩვენი წმინდა დაგროვება უცვლელი დარჩეს?

ამ %-ს მივიღებთ იმავე სახის ფორმულით, რომელიც ზემოდ მოვიყვანეთ ე. ი. $\frac{100 \times 20,44}{79,56\ (100-20,44)} = 25,69\%$; აქედან 100 მანეთის საქონლის გასაყიდი ღირებულება იქნება: $\frac{110 \times 25,69}{100} + 110 = 138$ მ. 26 კ.; თუ ამ ჯამიდან გამოვაკლებთ მის 20,44%, რაც უდრის $\frac{138,26 \times 20,44}{100} = 28$ მან. 26 კ., მივიღებთ სწორედ იმ ჯამს, რომელიც ჩვენს სასარგებლოდ უნდა რჩებოდეს, ე. ი. 110 მანეთს.

რაც ზემოდ იყო აღნიშნული შეეხება სმეტას, სავარაუდო კალკულიაციას. ფაქტიური კალკულიაციის შედგენის დროს, გადასახადი და საკომისიო იმავე რაოდენობით უნდა გატარდეს, როგორც სმეტაშია ნავარაუდევი, მხოლოდ მხედველობაში უნდა მივიღოთ წარმოებიდან გამოშვებული მთელი ნაწარმოების (და არა მხოლოდ გაყიდულის) ჩვენი გასასყიდი ღირებულება უგადასახადოდ და უკომისიოთ და საწარმოო ღირებულებას დავარიცხოთ ზემოდმოყვანილი ფორმულით მიღებული პროცენტი.

როგორ გავატაროთ დავთრებში გადასახადი და საკომისიო?

ვთქვათ, ზემოდმოცემული წესით გამოვიანგარიშეთ, რომ კალკულიაციაში შესატანია გადასახადი — 500 მ. და საკომისიო — 40 მანეთი, სულ 540 მანეთი. ორივე უნდა მიეკუთვნოს საერთო საწარმოო ხარჯებს, მაშასადამე უნდა გატარდეს ხარჯების ანგარიშის დებეტში და კომისიისა და გადასახადების რეზერვის ანგარიშის კრედიტში.

| ხ ა რ ჯ ე ბ ი | | წ ა რ მ ო ე ბ ა | | მზა-ნაწარმოები | | გ ა ყ ი დ ვ ა | | კომისიისა და გადასახადთა რეზერვი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 540(1) | 540 (2) | 540 (2) | 540(3) | 540(3) | 540(4) | 540(4) | | 540(1) |

შემდეგ ხარჯების ანგარიშიდან სხვა საწარმოო ხარჯებთან ერთად ჩამოიწერება წარმოების ანგარიშში, უკანასკნელიდან მზა-ნაწარმის ანგარიშზე, მზა-ნაწარმის ანგარიშიდან კი გაყიდვის ანგარიშზე.

როდესაც მსყიდველს ვურდგენთ ანგარიშს და გაყიდვის ოპერაციას სარეწაო კავშირის ანგარიშით ვატარებთ — უნდა გაკეთდეს შემდეგი ჩანაწერები:

ვთქვათ გავყიდეთ 1.400 მანეთის საქონელი, აქედან გადასახადი უდრის 500 მ., საკომისიო 28 მანეთს.

**ვ ა ტ ა რ დ ე ბ ა:**

| გ ა ყ ი დ ვ ა | | სარეწაო კავშირი | |
|---|---|---|---|
| | 1.400 | 1.400 | |

კავშირმა გადაიხადა გადასახადი და დაგვარიცხა საკომისიო;

**ვ ა ტ ა რ დ ე ბ ა:**

| სარეწაო კავშირი | | გადასახადისა და კომისიის რეზერვი | |
|---|---|---|---|
| | 528 | 528 | |

დანარჩენი ანგარიშსწორებანი სარეწაო კავშირთან გატარდება საერთო წესით.

გთხოვთ იხელმძღვანელოთ ზემოდ მოცემულ ინსტრუქციითა და მაგალითებით და უკეთუ რაიმე გაუგებრობას ექნეს ადგილი, შეგვეკითხოთ წერილობით და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სათანადო ახსნა-განმარტებას მიიღებთ საორგანიზაციო განყოფილებისაგან.

გამგეობა პ. **ქართველიშვილი.**

საორგ. განყოფილება ა. **ცაგარეიშვილი.**

კონსულტანტი **მ. მაისურაძე.**

სახელგამის 1-ლი სტამბა  შეკვეთის № 861  ტირაჟი 600  მთავარლიტი № 2152